სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-041001

ქ. თბილისი 10 აპრილი 2019 წ.

ერთის მხრივ სსიპ ***„გარემოს ეროვნული სააგენტო“*** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის ***ანდრო ასლანიშვილის*** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ფუდ მენჯმენტ გრუპ“ (ს/კ404427624)** მისი დირექტორის **ტარიელ ზარანდიას** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი”), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: იტალიის რესპუბლიკის გარემოს, ხმელეთისა და ზღვის სამინისტროსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის 2017 წლის 15 ნოემბერს ქ. ბონში (გერმანია) გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე სამუშაო ვიზიტის ფარგლებში იტალიელ ექსპერტთა გამასპინძლების მიზნით ფურშეტის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა (12 პერსონაზე) **(CPV – 55320000 - კერძების მიტანის მომსახურება).**

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა განხორციელდეს ჯეროვნად და ხარისხიანად, მომსახურების აღწერა მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1 254 (ერთი ათას ორას ორმოცდათოთხმეტი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2019 წლის საკუთარი სახსრები.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული მომსახურების კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და ვადებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს ***სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების (PR) სამმართველოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი.***

6 მომსახურების გაწევის პირობები

6.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2019 წლის 10 -12 აპრილს კერძოდ: 10 აპრილი - არაუგვიანეს 15:00 სთ-ისა (შემსყიდველთან შეთანმხებით). შემდეგ მისამართზე: გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ლაბორატორია (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6,); ხოლო 11-12 აპრილი - 13:00 სთ. - გარემოს ეროვნული სააგენტო, შემდეგ მისმართზე: ქ, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N150).

6 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და მომსახურების მიღების დადასტურებას განახორციელებს ***სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.***

7 პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი ან/და ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

7.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ოდენობით;

7.4. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 20 მაისის ჩათვლით.

9 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10 ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მომსახურების ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი მომსახურების ხარისხთან და ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11 ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

14 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17 დამატებითი პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:

სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ტელ: 243 95 45

ანდრო ასლანიშვილი
სააგენტოს უფროსი

მიმწოდებელი:

შპს ,,ფუდ მენეჯმენტ გრუპ''
ს/ნ 404427624
მის: ქ. თბილისი, წყალსადენის ქ.20
ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა GE 63 TB 7249 9360 6010 0003
ტელ.: 595 14 34 34

ტარიელ ზარანდია
დირექტორი

LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY
Digitally signed by LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY
Date: 2019.04.10 13:24:13 +04'00'

შეთანხმებულია:

№	დასახელება	განზ.	რაოდ.	გრამი	ფასი	ჯამი
1	ყავა (კარტნუარი ერთჯერადი)	ცალი	36	2		180.00
2	ჩაი (გრინფილდი ერთჯერადი: შავი, მწვანე, ჟასმინი)	ცალი	36	2		
3	შაქარი (4 სახის)	ცალი				
4	რძე	ლიტრი	1.5			
5	ლიმონი	კგ	0.9			
1	ქართული ყველის ნაირსახეობა (იმერული შებოლილი სულგუნი, თაფლში დავარგებული ყველი, საფერავში დავარგებული ყველი, ჭაჭაში დავარგებული ყველი, ტენილი ყველი)	ცალი	3		30	90
2	ქართული ნუგბარი (პაპაიას ჩირი, შავი ქლიავი, , კურაგას ჩირი, კივის ჩირი, ცუკატები, ფინიკი, გოგრის გული)	ცალი	3		30	90
3	მინი ხაჭაპური	ცალი	30	45	1.50	45
4	მინი ლობიანი	ცალი	30	30	1.00	30
5	ბეკონის კანაპე პიტნით	ცალი	36	30	2.00	72
7	ორაგულის კანაპე	ცალი	30	25	2.20	66
8	მინი შავი ბურგერი სალიამით, ჩედარეთი და სეზამის მარცვლებით	ცალი	30	40	1.80	54
9	კანაპე ბადრიჯანი ნიგვზით	ცალი	30	30	1.50	45
10	ისპანახი შავპურზე ნიგვზით	ცალი	30	30	1.50	45
	ნამცხვრები					
1	ფელამუშის დესერტი	ცალი	45		2.80	126.00
	სასმელები					
1	ნატურალურიწვენი - სანდორა	პორც. (150მლ)	36	150მლ	1.00	36.00
2	წყალი- სნო	ბოთლი (500მლ)	15	500მლ	1.00	15.00
	მომსახურება					
1	ინვენტარი - (ორი მაგიდა გადასაფარებლით, წყლის ბოილერი, კანაპეების დასადებები, ჭურჭელი)	პერსონაზე	20			0.00
2	ტრანსპორტირება	მიმართულება	6		25.00	150.00
3	მომსახურე პერსონალი	პერსონა	3		70.00	210.00
	სულ ჯამი					1254

შემსყიდველი:

სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო“

ანდრო ასლანიშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს ,,ფუდ მენეჯმენტ გრუპ”

ტარიელ ზარანდია
დირექტორი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსა“ და შპს „ფუდ მენეჯმენტ გრუპს“ შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

_____ ანდრო ასლანიშვილი

_____ მარიამ ხვედელიძე

_____ ნინო სამადაშვილი

_____ ზვიად გელაშვილი

_____ ზვიად მანჯგალაძე

_____ ნატალია სულუაშვილი

_____ გიორგი მაღრაძე

_____ ეთერ ალთუნაშვილი